პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2024 წლის _____ აგვისტო; ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N20 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი სამუშაოს განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების თაობაზე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 22 აგვისტოს მიღებული იქნა N20 დადგენილება „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“, რომლითაც დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა შპს „ბათუმი რივიერა“-ს მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ ბათუმში, N05.21.01.031; N05.21.01.030; N05.21.01.029; N05.21.01.018; N05.21.20.079; N05.21.20.070; N05.21.20.071; N05.21.20.084; N05.21.20.082; N05.21.21.015; N05.21.20.053; N05.21.20.076; N05.21.20.056; N05.21.20.087 მდებარე მიწის ნაკვეთებზე.

ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. ბათუმში, ე.წ. „ბურუნ-თაბიეს“ ტერიტორიზე. ტერიტორია ერთის მხრივ ნავსადგომსა და გოგებაშვილის ქუჩას შორის არის მოქცეული, ხოლო მეორეს მხრივ ბულვარსა და ე.წ. „ჭაჭის კოშკის“ სკვერს შორის. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ბულვარზე განთავსებულია ბათუმის ისტორიული შუქურა და „ეშმაკის ბორბალი“, აქვე ახლოს დგას „ანბანის კოშკი“. განაშენიანების დეტალური გეგმის მიხედვით პროექტის ფარგლებში უნდა მოხდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან იჯარით აღებული ტერიტორიის განვითარება, ზღვისპირა პარკის ტერიტორიის კეთილ-მოწყობა და იახტკლუბის განვითარება.

განაშენიანების რეგულირების გეგმაში გათვალისწინებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეკომენდაციები - ცვლილებების თავდაპირველ საფუძვლად აღებულ იქნა ძველი ბათუმის განაშენიანების ბადე. დამტკიცებული გეგმა განმარტავს, რომ საპროექტო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია რამდენიმე ფაზად, საიდანაც ერთ-ერთი ფაზაა მუნიციპალური პარკის კეთილმოწყობა, მუნიციპალური პარკი დაიტვირთება სრულიად სარეკრეაციო ფუნქციით, განხორციელდება პარკის რეკონსტრუქცია. დაგეგმვის მიზნებში განმარტებულია, რომ საპროექტო ტერიტორია მოიცავს ადგილს, სადაც განთავსებულია „ჭაჭის შადრევნებიანი კოშკი“ და ეს ტერიტორია აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში არის უფუნქციო, საჭიროებს გონივრულ დაგეგმვას და განვითარებას. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა ითვალისიწნებს ამორტიზებული და უსახური „ჭაჭის შადრევნებიანი კოშკი“ -ს დემონტაჟს.

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N20 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში და განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ვალდებულების შესრუ-

ლების უზრუნველსაყოფად, შპს „ბათუმი რივიერა“-ს მიერ წარმოდგენილია განცხადება ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე N05.21.20.056, 05.01.20.076, 05.21.20.091, 05.21.20.092, 05.21.20.087 საკადასტრო კოდებზე მდებარე მუნიციპალური პარკის რეკონსტ-რუქციის პროექტის დამტკიცების მიზნით, რომელიც მოიცავს ამორტიზებული და უსახური „ჭაჭის შადრევნებიანი კოშკი“-ს დემონტაჟის განხორციელებასაც.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-3 პუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N20 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში და მის საფუძველზე განხორციელდეს ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე N05.21.20.056, N05.01.20.076, N05.21.20.091, N05.21.20.092, N05.21.20.087 საკადასტრო კოდებზე მდებარე პარკის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობის სამუშაოები, მათ შორის ამორტიზებული და უსახური „ჭაჭის შადრევნებიანი კოშკი“-ს დემონტაჟი, თანახმად დანართისა.

2. შპს „ბათუმის რივიერა“-მ (ს/N445534636) უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პარკის რეკონსტრუქციის სამუშაოების და ამორტიზებული და უსახური „ჭაჭის შადრევნებიანი კოშკი“-ს დემონტაჟის განხორციელება (მათ შორის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის მომზადება და შეთანხმება კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პროცედურების დაცვით).

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N20 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი სამუშაოს განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N20 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი სამუშაოს განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების თაობაზე განკარგულების პროექტის მიღება

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 22 აგვისტოს მიღებული იქნა დადგენილება N20 „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“, რომლითაც დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა შპს „ბათუმი რივიერა“-ს მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ ბათუმში, N05.21.01.031; N05.21.01.030; N05.21.01.029; N05.21.01.018; N05.21.20.079; N05.21.20.070; N05.21.20.071; N05.21.20.084; N05.21.20.082; N05.21.21.015; N05.21.20.053; N05.21.20.076; N05.21.20.056; N05.21.20.087 მდებარე მიწის ნაკვეთებზე.

ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. ბათუმში, ე.წ. „ბურუნ-თაბიეს“ ტერიტორიზე. ტერიტორია ერთის მხრივ ნავსადგომსა და გოგებაშვილის ქუჩას შორის არის მოქცეული, ხოლო მეორეს მხრივ ბულვარსა და ე.წ. „ჭაჭის კოშკის“ სკვერს შორის. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს ბულვარზე განთავსებულია ბათუმის ისტორიული შუქურა და „ეშმაკის ბორბალი“, აქვე ახლოს დგას „ანბანის კოშკი“. განაშენიანების დეტალური გეგმის მიხედვით პროექტის ფარგლებში უნდა მოხდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან იჯარით აღებული ტერიტორიის განვითარება, ზღვისპირა პარკის ტერიტორიის კეთილ-მოწყობა და იახტკლუბის განვითარება.

განაშენიანების რეგულირების გეგმაში გათვალისწინებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეკომენდაციები - ცვლილებების თავდაპირველ საფუძვლად აღებულ იქნა ძველი ბათუმის განაშენიანების ბადე. დამტკიცებული გეგმა განმარტავს, რომ საპროექტო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია რამდენიმე ფაზად, საიდანაც ერთ-ერთი ფაზაა მუნიციპალური პარკის კეთილმოწყობა, მუნიციპალური პარკი დაიტვირთება სრულიად სარეკრეაციო ფუნქციით, განხორციელდება პარკის რეკონსტრუქცია. დაგეგმვის

მიზნებში განმარტებულია, რომ საპროექტო ტერიტორია მოიცავს ადგილს, სადაც განთავსებულია „ჭაჭის შადრევნებიანი კოშკი“ და ეს ტერიტორია აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში არის უფუნქციო, საჭიროებს გონივრულ დაგეგმვას და განვითარებას. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა ითვალისიწნებს ამორტიზებული და უსახური „ჭაჭის შადრევნებიანი კოშკი“-ს დემონტაჟს.

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N20 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში და განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, შპს „ბათუმი რივიერა“-ს მიერ წარმოდგენილია განცხადება ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე N05.21.20.056, 05.01.20.076, 05.21.20.091, 05.21.20.092, 05.21.20.087 საკადასტრო კოდებზე მდებარე მუნიციპალური პარკის რეკონსტრუქციის პროექტის დამტკიცების მიზნით, რომელიც მოიცავს ამორტიზებული და უსახური „ჭაჭის შადრევნებიანი კოშკი“-ს დემონტაჟის განხორციელებასაც.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

„ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს N20 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი სამუშაოს განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების თაობაზე განკარგულების პროექტი

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები,

სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გ. წანაწყენიშვილი**